საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ტ.-ღ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ნ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.10.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 127/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ტ.-ღ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოში მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე შეექმნა სამართლებრივი პრობლემები. კერძოდ, გ. ტ.-ღ.-მ სახლის გარემონტება-განახლების მიზნით გარკვეულ პირებს გადაუხადა 55 000 ევრო, თუმცა მათ სახლი არ გაარემონტეს და არც თანხა დააბრუნეს. საჩივრის ავტორმა გადაწყვიტა აღნიშნული პირების მიმართ განცხადების შეტანა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რისთვისაც დაუკავშირდა ადვოკატ ნ. კ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა დახმარებას და მოითხოვა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, რაც მომჩივანმა ელექტრონულად გაუგზავნა ადვოკატს. თავის მხრივ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუგზავნა ხელმოწერილი ორდერი, რის საფუძველზეც მომჩივანმა მხარემ სს „ს.-ს. ბ.-ის“ მეშვეობით საადვოკატო მომსახურების თანხა - 1000 ლარი, ადვოკატის მოთხოვნით გადარიცხა ადვოკატის მეუღლის ანგარიშზე.

1.4 მხარეებს შორის არსებული შეთანხმებით, ადვოკატს მეორე დღესვე უნდა დაეწყო საქმეზე მუშაობა, თუმცა ჰონორარის გადარიცხვის მეორე დღიდან ადვოკატმა საჩივრის ავტორთან გაწყვიტა კომუნიკაცია. გ. ტ.-ღ.-მ საბოლოოდ მეუღლის მობილურით მოახერხა ადვოკატთან დაკავშირება. სატელეფონო საუბარში, ადვოკატმა ნ. კ.-მა მას და მის მეუღლეს მიაყენა შეურაცხყოფა და გააფრთხილა, რომ თუ ამის შესახებ აცნობებდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ის დაამტკიცებდა სიმართლეს და გადახდილ თანხას საერთოდ არ დააბრუნებდა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორს აღარ სურდა ადვოკატთან ურთიერთობის გაგრძელება და მოსთხოვა თანხის დაბრუნება არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა. რის შემდეგაც, ადვოკატმა შეწყვიტა საჩივრის ავტორთან კომუნიკაცია და არ დაუბრუნა მას გადახდილი თანხა.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ნ. კ.-თან ურთიერთობის დაწყებამდე, მან განუმარტა გ. ტ.-ღ.-ს, რომ მისი საქმე არ ეხებოდა სისხლის სამართლის დანაშაულს და დავა სამოქალაქო წესით უნდა დაეწყო. მიუხედავად ამისა, გ. ტ.-ღ. დაუკავშირდა ნ. კ.-ს, რომელიც დაჰპირდა სისხლის სამართლის წესით საქმის წარმოებას. ნ. კ.-თან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, გ. ტ.-ღ.-მ წარმომადგენლის - ნ. თ.-ს დახმარებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით, რის შემდეგაც მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, რის გამოც დაირღვა მისი, როგორც კლიენტის უფლებები და ინტერესები. საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატ ნ. კ.-მა დაუბრუნოს მას გადახდილი ჰონორარი და შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 08 ნოემბერს ადვოკატმა ნ. კ.-მა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, გ. ტ.-ღ.-მ მას მიმართა სისხლისსამართლებრივი საქმის დაწყების მიზნით დისა და დისშვილების წინააღმდეგ 54 000 ევროს მითვისების ფაქტის გამოძიების მოთხოვნით. ადვოკატი დათანხმდა მომსახურების გაწევაზე და მხარეები შეთანხმდნენ ჰონორარის ოდენობაზე, რომელიც მეორე დღესვე - 2019 წლის 01 სექტემბერს გადაურიცხა საჩივარი ავტორმა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა საჩივრის ავტორთან. ადვოკატი კლიენტთან თითქმის ყოველ საღამოს საუბრობდა მის მიმართ სავარაუდოდ

ჩადენილი თაღლითობის დეტალებზე, ინიშნავდა სავარაუდო მოწმეებს და საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს.

2.4 2019 წლის 07 სექტემბერს საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუგზავნა 120 გვერდიანი ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც ეხებოდა 2011-2018 წლებში გ. ტ.-ღ.-ის მიერ მისი დისთვის განხორციელებულ გზავნილებს. ადვოკატმა აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო, თუმცა 09 სექტემბერს კლიენტს აცნობა, რომ დედის ავადმყოფობის გამო რამდენიმე დღით ვერ შეძლებდა საქმეზე მუშაობის გაგრძელებას. 4 დღის შემდეგ, მას დაუკავშირდა გ. ტ.-ღ.-ის მეუღლე, მან ადვოკატს შეურაცხყოფა მიაყენა და დაადანაშაულა დროის გაყვანის მიზნით მათ მოტყუებაში. ადვოკატმა აცნობა კლიენტის მეუღლეს, რომ განცხადების მომზადებას სჭირდებოდა დრო და მას უახლოეს დღეებში მოამზადებდა, რაზედაც საჩივრის ავტორის მეუღლემ გააგრძელა მისი შეურაცხყოფა. ადვოკატმა ხმამაღლა მიმართა მას, რომ ნუ აყენებდა შეურაცხყოფას, რა დროსაც საუბარში ჩაერთო გ. ტ.-ღ. და მან ადვოკატის მისამართით დაიწყო გინება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გ. ტ.-ღ.-ის მიმართ გაჟღერებული შეურაცხმყოფელი ფრაზები წარმოთქვა არასტაბილური ფსიქოლოგიური მდგომარეობის დროს, რადგან თავად საჩივრის ავტორისგანაც მოდიოდა შეურაცხმყოფელი მიმართვები. ამავე დროს, მასზე გავლენას ახდენდა დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

2.5 2019 წლის 16 სექტემბერს გ. ტ.-ღ.-მ დაუყოვნებლივ მოსთხოვა ადვოკატს 1000 ლარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ამ საქმეზე დახარჯა დრო და ფინანსები და მხოლოდ 800 ლარს დაუბრუნებდა. ადვოკატმა, საჩივრის ავტორს სთხოვა ანგარიშის ნომერი, რომელზეც მოხდებოდა თანხის გადარიცხვა, თუმცა საბანკო რეკვიზიტები საჩივრის ავტორს არ გაუგზავნია. ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა თანხა, მაგრამ განხილვის კოლეგიის სხდომაზე მზადყოფნა გამოთქვა მის დაბრუნებაზე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შორის არ მომხდარა კლიენტისგან მიღებული თანხის მიზნობრიობის განსაზღვრა და მასზე შეთანხმება. თანხა მოიცავდა, როგორც ჰონორარს, ასევე ხარჯებს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მიღებული თანხიდან მან პროპორციულად გამოიმუშავა თანხის 20%, ვინაიდან ის იმყოფებოდა ზესტაფონში გ. ტ.-ღ.-ის ნათესავების გამოკითხვის მიზნით და ამობეჭდა კლიენტის მიერ გადაგზავნილი დოკუმენტაცია ფერად პრინტერზე, ვინაიდან შავ-თეთრი კარგად არ იკითხებოდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2020 წლის 27 იანვარს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კლიენტის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართვისა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3 და მუხლი 5(ა)) და კლიენტისთვის გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების შესაბამისი თანხის დაუბრუნებლობის საფუძვლით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატ ნ. კ.-სა და გ. ტ.-ღ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება შედგა 2019 წლის აგვისტოს ბოლოს. 2019 წლის 1 სექტემბერს საჩივრის ავტორმა ადვოკატის მეუღლის ანგარიშზე საადვოკატო მომსახურებისთვის გადარიცხა 1000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ1.3, პარ. 2.2);*
- *01.09.2019 წლის საბანკო გადარიცხვის ქვითარი.*

4.1.2 ადვოკატმა ნ. კ.-მა არ განუმარტა გ. ტ.-ღ.-ს საადვოკატო მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის მიზნობრიობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *ადვოკატის განმარტება (პარ. 2.6).*

4.1.3 ადვოკატმა ნ. კ.-მა 2019 წლის 02 სექტემბერს გამოწერა ორდერი, რომლითაც აიღო ვალდებულება დაეცვა გ. ტ.-ღ.-ის ინტერესები შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურასა და სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება;*
- *02.09.2019 წლის ორდერი N021/019.*

4.1.4 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 16 სექტემბერს მოსთხოვა ადვოკატს თანხის დაბრუნება და ურთიერთობის შეწყვეტა, რის შემდეგაც ადვოკატმა აღარ გააგრძელა კლიენტის საქმის წარმოება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.4, პარ. 2.5);*
- *მხარეთა შორის განხორციელებული მიმოწერები.*

4.1.5 ადვოკატმა ნ. კ.-მა 2019 წლის 16 სექტემბერს გ. ტ.-ღ.-ს პირადი შეტყობინების სახით მისწერა შემდეგი ფრაზები: „უზრდელობას არ გაპატიებ და ავადმყოფი დედის გინებას შე არაკაცო“. „ვისაც შენთვის ეღალატოს იმის დედას შენ შ... და ვინც მე ეგ დამაბრალოს მის დედას მე შ..., გაწყობს ასე?“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;*
- *მხარეთა შორის განხორციელებული მიმოწერები.*

4.1.6 ადვოკატმა ნ. კ.-მა არ დაუბრუნა გ. ტ.-ღ.-ს მიღებული ჰონორარიდან გამოუმუშავებელი თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.4; პარ. 2.5).*

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. კ.-მა დაარღვია ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი", პრეამბულა).

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

6.2 ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობა განახორციელოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, სათანადო გულისხმიერებით და მის მიმართ პატივისცემის ვალდებულების დაცვით, რადგან კლიენტს მისი და ადვოკატის პროფესიის მიმართ არსებული ნდობა არ დაეკარგოს.

6.3 „ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 27.01.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N047/13).

6.4 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკით, კლიენტის გინება, ითვლება კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევად, რაც შესაძლოა გახდეს ადვოკატის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველი (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.12.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №053/18, 9.4). ამასთან, კლიენტის მხრიდან ადვოკატისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არ შეიძლება ადვოკატისათვის გახდეს ამ ვალდებულებიდან თავის არიდების საფუძველი. „ადვოკატს მოეთხოვება კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტი, თუნდაც იმ შემთხვევაშიც, როდესაც

კლიენტის მისდამი მიმართვა შეურაცხმყოფელია (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.12.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №053/18, 9.8).

6.5 „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი და ეთიკის კოდექსი ზღუდავს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ადვოკატის მიერ წარმოთქმულ შეურაცხმყოფელ ფრაზას შეუძლია დააზიანოს არამარტო კონკრეტული პირის უფლებები, არამედ, მას ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს ადვოკატის პროფესიის როლის გაძლიერებას და მისი წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 18.11.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №156/18, 6.8 – 6.9).

6.6 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება ადვოკატ ნ. კ.-ის მხრიდან საჩივრის ავტორის, გ. ტ.-ღ.-ის მისამართით წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვების ფაქტი. აღნიშნული ფრაზები გადმოცემულია უხამსი ფორმით, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 1(ვ) მუხლის მიხედვით „წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. შესაბამისად, ადვოკატის მიმართვას არ აქვს რაიმე სახის ღირებულება ან დატვირთვა, გარდა პირის შეურაცხყოფისა, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს და გამოიწვიოს ადვოკატის პროფესიის მიმართ კლიენტის ნდობის დაკარგვა.

6.7 ადვოკატის მიერ კლიენტის მისამართით წარმოთქმული ფრაზები სცდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებს, ისინი გადმოცემულია უხამსი ფორმით და მიუღებელია საზოგადოების ნებისმიერ წევრისთვის. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის მისამართით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით (გინებით), ადვოკატმა დაარღვია ნდობისა და კეთილსინდისიერების ეთიკური ვალდებულება.

6.8 განხილვის კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეულია ჰონორარის ოდენობის, ჰონორარის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2)

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6)

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

6.9 ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა, მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ამ ოდენობის გაანგარიშების წესის შესახებ, რაც მოიცავს კლიენტის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ მომსახურების რა ფარგლებს სთავაზობს ადვოკატი მის მიერ განსაზღვრული ჰონორარის სანაცვლოდ. სასურველია, მსგავსი გაანგარიშება ადვოკატმა გააკეთოს ეტაპების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში, დაეხმარება ადვოკატსაც და კლიენტსაც, ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამოიანგარიშონ გამომუშავებული ჰონორარის პროპორციული ოდენობა.

6.10 „პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ექვივალენტური მომსახურების ფარგლებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №011/18).

6.11 ადვოკატმა ჰონორარისგან დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რომელსაც კლიენტი ადვოკატს მიანდობს წარმომადგენლობის პროცესში (მინდობილი თანხა). მინდობილი თანხა კლიენტის საკუთრებაა, რომელსაც ადვოკატი კლიენტის ინტერესების შესაბამისად განკარგავს. განსხვავებით ჰონორარისაგან, რომელიც ადვოკატის საკუთრება ხდება გამომუშავების შემდეგ, მინდობილი თანხა, ბოლომდე კლიენტის საკუთრებად რჩება. სწორედ ამიტომაც, პროფესიული სტანდარტები ადვოკატს განსაკუთრებულ გულისხმიერებას ავალებს კლიენტის ფულადი სახსრების და/ან ქონების მართვის პროცესში (ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.6, 8.11, 8.12, 8.13, 8.15).

6.12 „იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, თუ 3) მოურიგდეს მხარეს, რათა შეამციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

6.13 ადვოკატი ნ. კ. ვალდებული იყო გ. ტ.-ღ.-სთან ურთიერთობის დაწყების დროს მიეწოდებინა ინფორმაცია საადვოკატო მომსახურების დაწყების მიზნით მოთხოვნილი თანხის მიზნობრიობის შესახებ, რადგან კლიენტს სცოდნოდა მის მიერ მითითებული 1000 ლარის რა ნაწილი იყო ადვოკატის ჰონორარი და რა საქმის წარმოებისათვის აუცილებელი თანხა (მინდობილი თანხა). კლიენტს უნდა სცოდნოდა თუ რას მოხმარდებოდა მის მიერ გადახდილი თანხა. ადვოკატმა ნიკოლოზ კვანტრიშვილმა, კლიენტს არ განუმარტა მომსახურებისათვის გათვალისწინებული ჰონორარის გაანგარიშების წესი. კლიენტისათვის

ასევე უცნობი იყო თუ რა აუცილებელი ხარჯები იყო საჭირო მისი საქმის წარმოებისათვის. განხილვის კოლეგიამ მხარეთა ახსნა განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა არ განუმარტა კლიენტს - გ. ტ.-ღ.-ს ადვოკატისთვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იყო კლიენტის საქმის წარმოებასთან. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია ჰონორარის ოდენობის, ჰონორარის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

6.14 განხილვის კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. კ.-მა დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.15 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.16 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №098/17).

6.17 ადვოკატ ნ. კ.-სა და მის კლიენტ - გ. ტ.-ღ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა ვადამდე, კლიენტის ინიციატივით, რის საფუძველზეც ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. ადვოკატმა გამოიანგარიშა ეს ოდენობა და განმარტა, რომ მზად იყო კლიენტისათვის დაებრუნებინა 80%, რადგან 20%-ის სამუშაო შესრულებული ჰქონდა. თუმცა, ეს ვალდებულება ადვოკატმა არ შეასრულა. ადვოკატს კლიენტის მიმართ გააჩნია ფიდუციური

ვალდებულება, რაც მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერ მართვას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13). ეთიკის კომისია განმარტავს, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარი კლიენტის ფულად სახსრებს წარმოადგენს, ამ თანხის მესაკუთრე კლიენტია. შესაბამისად, ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა მართოს ეს სახსრები და ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა. კლიენტს, მისი კუთვნილი ფულადი სახსრების მოთხოვნისათვის, არ უნდა დასჭირდეს ადვოკატის მიმართ სხვადასხვა ორგანოში პრეტენზიის, საჩივრისა თუ სარჩელის წარდგენა. ადვოკატმა, ყოველდღიური ქმედებით, ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული სტანდარტების ამაღლებას და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის განმტკიცებას.

6.18 შესაბამისად, კომისიის შეფასებით, ადვოკატ ნ. კ.-მა ასევე დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისთვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. ადვოკატმა არც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას და არც დისციპლინური საქმის განხილვისას, არ შეასრულა მასზე დაკისრებული ფიდუციური ვალდებულებები და კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა, რაც მისი დისციპლინირების საფუძველია.

6.19 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს სასამართლოს განსჯად საკითხს. შესაბამისად, საჩივრის ავტორს უფლება აქვს თანხის დაკისრების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

6.20 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ნდობის, კეთილსინდისიერების, კლიენტისთვის ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებისთვის ადვოკატს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად უნდა განისაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რომელიც მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის პროპორციულია.

6.21 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.22 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი

გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-15).

6.23 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.24 ეთიკის კომისიამ ადვოკატისთვის სახდელის დაკისრების დროს იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით და მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა. კერძოდ, ეთიკის კომისიამ მაშინ როდესაც, ადვოკატმა კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა და ჰონორარიდან გამოუმუშავებელი ნაწილი არ დაუბრუნა მას, დისციპლინური სახდელის სახით გამოიყენა გაფრთხილება (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.09.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე N038/16; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17). ასევე, ეთიკის კომისიამ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება გამოიყენა ადვოკატის მიერ კლიენტის შეურაცხყოფის ფაქტზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.12.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N053/18).

6.25 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, არ აქვს დაკისრებული დისციპლინური სახდელი. თუმცა, ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ჩადენილია ორზე მეტი გადაცდომა. ამ პირობებში ეთიკის კომისიის შეფასებით, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

6.26 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 32.1, 34.1(ა), 35 და 35^1 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 3, 88 და 8.15 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 35 და 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №127/19 დადგინდეს ადვოკატ ნ. კ.-ის /სიითი№/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ნ. კ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს სახდელი - გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/